



თურქეთი ნატო-ში ხმას შეგვანავლებს **A2**



რის ბაქათეხას აპირებს ბი-პი საქართველოში **A4**



ზინედინ ზიდანი: "ბადაყვავილასა ზაფხულში მივიღებ" **A7**

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

ბაქათი 24 საათი

ოთხშაბათი, 15 მარტი, 2006 წელი. №55 (1207)

ფასი 50 თეთრი

ახვები

ბაქათი დანაული პატივსაცემად

საქართველოში მცხოვრები ვეტერანების ის ნაწილი, რომლებმაც გუმბირის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან აქცია მოახვედრეს, მინისტრთან ხელშეკრულებით არ მისულან. სახელდახლოდ გაშლილ პატარა მაგიდაზე საქმლის ის მწირი რაოდენობა იყო წარმოდგენილი, რითაც ვეტერანებს პოსტიტალში კვებავენ. "მინისტრს ვთხოვთ, ჩამობრძანდეს და გასინჯოს, რათა თავად მიხედეს, თუ რას გვაქვს მინისტრთან", - აცხადებდნენ ისინი.

A2

ეკონომიკა

"საქართველოს ბანკი" "MCG"-ს მომსახურებაზე გადასვლა

ფონდმა "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("MCG") და საქართველოს ბანკმა საბანკო უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. საბანკო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ქართული საფინანსო დანერგვების შერევა აშშ-სა და საქართველოს მთავრობის შორის გაფორმებული "ათასწლეულის გამოწვევის" კომპაქტის მოთხოვნა იყო.

A4

სამართალი

აპელაციის განაჩენა, რომელიც ყველა უკმაყოფილოა

დღეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის საქმის განხილვა იწყება. მ წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთი განაჩენი გამოუტანა ცოტა ხნის წინ ბათუმის საქალაქო სასამართლომ უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რომელსაც, თავის დროზე, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაბი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენელი საფრანგეთში.

აინდი

| | | |
|-----------|-------|--------|
| | 15/03 | 16 /03 |
| თბილისი | 13 | 11 |
| ტყუბული | 18 | 11 |
| სოხუმი | 20 | 12 |
| გორი | 13 | 7 |
| ონი | 11 | 5 |
| ზაგდოდი | 21 | 11 |
| სამტრედია | 20 | 12 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---------------------|--------|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.1886 |
| ბრიტანული სტერლინგი | 3.1707 |
| რუბლი | 0.0653 |

| | |
|-------------|-----|
| ახვები | A 2 |
| ეკონომიკა | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| გამომგებობა | A 5 |
| სამართალი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| პროექტი | A 8 |

ბიზნესმენები ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ

ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის უფლებები დაუცველია

თინა შავაძე

მეწარმის ინტერესები არ შედის ბარიკადების მოწყობა და მიტინგებში მონაწილეობა. მისი საქმეა მოგების მიღება, რომლის ნაწილით საკუთარი უფლებების დამცველებს აფინანსებს. საქართველოში ასეთი ტენდენცია არ შეიმჩნევა. ბოლო გამოკვლევებით, მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა, მწ პროცენტით, არ არის გაუქვრიანებული რომელიმე ბიზნესასოციაციში. ამ რეალობის ნეგატიური მხარე ამ კარად გამოჩნდა ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების დროს. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცნობილი ცვლილება მცირე მეწარმეების პროტესტის საფუძველი გახდა. მათ მიიჩნიეს, რომ სალარო აპარატების დადგმის შემთხვევაში, მათი გაკოტრება გარდაუვალი



მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა 85 პროცენტის უფლებებს არაფერ იცავს. შესაძლოა ამითაცა გამოწვეული ამაჟინდელი ვითარება.

გახდებოდა და საკუთარი საქმიანობის დასაცავად მიტინგები გამართეს. მათი უფლებების დაცვა კი პოლიტიკური პარტიების

ლიდერებმა იკისრეს, მაშინ, როცა ეს ნიშნა ბაზარზე ბიზნესასოციაციებს და ამ ტიპის გაერთიანებებს უნდა ეჭირათ. მათი აქტიურობა,

პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, უფრო სასარგებლო და საქმიანი იქნებოდა.

ბაზრძალვა A3 ბავრძა

ქართველი და რუსი მესაზღვრეების რანდევუ პოლიტიკურ უამინდობაში

კობა ლიკლიქაძე რადიო თავისუფლება საქართველო 24 საათისთვის

რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბულობის ფონზე, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიქაძე სამუშაო ვიზიტით მოსკოში გაემგზავრა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიქაძე პირველი ქართველი მაღალი თანამდებობის პირია, ვინც რუსეთის დედაქალაქში მიმდინარე ნელს რუსი კოლეგის ვლადიმერ პრონიჩევის მიწვევით ჩაიდა.

ბაზრძალვა A3 ბავრძა



რატომ ურივლა ბიძინა ივანიშვილმა ამერიკელ ინვესტორს და ორი შვილის დადას, თამარა ტიფანის სასამართლოში?

ზუსტად ასეთივე სათაურის მქონე სტატია დაიბეჭდა 10 მარტს ამავე გაზეთში. სრულიად შეგნებულად ამ წერილისთვისაც ჩვენც იგივე სათაური გარჩიეთ. საქმე ის გახლავთ, რომ, როცა სტატის სათაურად ამგვარი გამჭვირვალე აქცენტის მქონე კითხვას აირჩევ, ამ კითხვაზე პასუხს იმავე სტატიაში ელოდებით. ბუნებრივია მეც თავიდან ბოლომდე პატივს მიაგნებთ იგი, მაგრამ ამოვად, ამ კითხვაზე პასუხს

ნატამალსაც ვერ მივაგენი იქ. მოკლედ მიუხედავად სტატის შთამბეჭქვადი მოცულობისა, არც ქ-ნი ტიფანი და არც "24 საათი" არ ცდილობს საზოგადოებას აუწყოს, რატომ აღძრა კომპანია "ინტერსერვისმა" სარჩელი ქ-ნი ტიფანის კუთვნილი კომპანია "პორი-ზონტის" წინააღმდეგ. მე, როგორც ჟურნალისტი, ცოტა დაუფერებლად მომიჩვენა, რომ ისეთმა სოლიდურმა გაზეთმა, როგორ-

იც "24 საათი" გახლავთ, ეს უბრალო ამბავი ვერ გარკვევდა თავისივე დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვერ მოახერხა, ეს ხომ სულაც არ იყო ძნელი. მეც, სტატის ქვემოთ ავტორის გვარსაც რომ ვერ მოვკარი თვალი, ჩემით ვიგუმანე, რომ გაზეთი არაფერ შუაში არ იყო და სტატია შეკვეთით იყო დაბეჭდილი. ასეა თუ ისე, რადგან "24 საათში" 10 მარტს დაბეჭდილი წერილი სათაურშივე გამოტყ-

ნილ კითხვაზე პასუხს არ იძლევა, იძულებული ვხდებით, ჩვენი აზრით, ეს შეგნებულ ხარვეზი გამოვასწოროთ და თავისთავად ამ სრულიად საშარლო კითხვას ჩვენ გავცეთ პასუხი. ჩვენ ავუსხანთ საზოგადოებას, რა მხხხ სინამდვილეში და რატომ უპირებს "დაჩაგვრას" ოთხი შვილის ქართველი მამა ორი შვილის ამერიკელ დედას, ქ-ნ ტიფანის.

ბაზრძალვა A5 ბავრძა

"დემოკრატიულ ფრონტში" თავმჯდომარე იცვლება

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი მარტის პოლის პოსტს დატოვებს და ამ თანამდებობას ზვიად ძიძიგური ჩაიბარებს. ეს ცვლილება არც შეიძლება ცოცხალი ინტრიგებს უკავშირდებოდეს და არც იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციონერი დეპუტატები თავიანთი ლიდერის საქმიანობით უკმაყოფილონი არიან. ამ შემთხვევაში საქმე ძალიან მარტივად არის: "დემოკრატიული ფრონტის" წესდების მიხედვით, ფრაქციის თავმჯდომარის როლაცია ყოველ ხუთ თვეში უნდა მოხდეს. ამდენად, ზურაბიშვილის ძიძიგურით "ჩანაცვლებაში" სენსაციური არაფერია, ისევე როგორც იმაში, რომ სამუშაოდ მოსესი "კონსერვატორ" ძიძიგურს უკვე "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი შეცვლის.

ბიორგი ასანიშვილი

"ზვიად ძიძიგურის მოსვლით, არა მგონია, ფრაქციის პოლიტიკურ კურსში რაიმე არსებითი ცვლილება მოხდეს. როგორც ერთმანეთთან, ისე გარეშე პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობებში უკვე ჩამოყალიბებული გეგმები, პრაქტიკულად, განმარტებულია". - აცხადებს "24 საათთან" საუბარში დავით ზურაბიშვილი.

"დემოკრატიული ფრონტში" სამი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ("რესპუბლიკელი", "კონსერვატორები", "ახალი გზა") და დამოუკიდებელი დეპუტატები შედიან. "ჩემი, როგ-

ორც ფრაქციის თავმჯდომარის ფუნქცია, ძირითადად, დაბალანსებაში მდგომარეობდა, რაც სულაც არ გამჭირვებია, რადგან ფრაქციაში წარმალური ხალხია. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება კოლექტიურად ხდებოდა და არა ერთპირურად. სხვადასხვა პარტიული კუთვნილების მქონე თანამდებობის შორის აზრთა სხვადასხვაობას ნამდვილად პქონია ადგილი, მაგრამ ეს წინააღმდეგობები დაუძლეველი არ ყოფილა, - აცხადებს დავით ზურაბიშვილი და თავის ნაკლებად ბეჭე უფრო "სამოქმედო" საუბრობს, - დიდი ორგანიზაციული მონაცემებით არ გამოირჩევი.

ბაზრძალვა A2 ბავრძა

რუსული დიპლომატიის ამერიკელი რიხორიკა

"ურთიერთდობა, ტრანსპარენტულობა, თანმიმდევრულობა"

სოფო ბაქია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური კომენტარი გაავრცელა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის მიერ რუსულ ტელეკომპანია "როსიას" ეთერში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით. "როსიას" ეთერში ლავროვმა საქართველოს მხარე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე დღისათვის არსებული მოლაპარაკებათა მექანიზმების შეწყვეტის მცდელობაში დააანაშაულა. ლავროვმა საქართველოს ხელისუფლებას "ურთიერთდობის კენ, ტრანსპარენტულობისა და თანმიმდევრულობისკენ" მოუწოდა.

გუმინ გავრცელებულ საპასუხო განცხადებაში საქართველოს საგარეო უწყება ლავროვს შეახსენებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ამ სამი პრინციპის გათვალისწინებით შეიმუშავა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმა. "რაც შეეხება რუსული მხარის ბრალდებას, რომ საქართველოს მხარე მიზნად ისახავს კონფლიქტის დარეგულირების არსებული მექანიზმების მოშლას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ მოლაპარაკებათა ფორმატის შეცვლაზე და სამშვიდობო სამშვიდობო კომპანის ჩანაცვლებაზე საერთაშორისო ძალებით.

ბაზრძალვა A3 ბავრძა

ბირგვლიანის საქმა - ფართომასშტაბიანი აქციების სახაზი

სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან თვენახევრის შემდეგ შსს მაღალჩინოსნები - კონსტრუქციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი დათა ახალაია, ამავე სამსახურის თანამშრომელი ოლეგ მელნიკოვი, გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ დონაძე, რომლებიც გირგვლიანის ოჯახის მიერ მკვლელობის საფარაულო შემკვეთებად არიან დასახელებულნი, თანამდებობებს დროებით დაემშვიდობნენ.

მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გაღებული "მსხვერპლისა" (შეგახსენებთ, აღნიშნულ საქმეზე დაპატიმრებულია შს სამინისტროს კონსტრუქციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ოთხი თანამშრომელი), სანდრო გირგვლიანის ოჯახი და არასამთავრობო ორგანიზაციები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ოფისში შეკრებილ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრების განცხადებით, შს სამინისტროს მაღალჩინოსნებისთვის თანამდებობრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერება საზოგადოებრივი ინტერესების გაუთვალისწინებლობა და მათთვის პასუხისმგებლობის არიდების მცდელობაა. აქედან გამომდინარე, არასამ-

თავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრები მოითხოვენ: მაღალჩინოსნების გადაყენებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გამოქვეყნდეს საჯაროდ, კანონის შესაბამისად; განმეორებით დაიკითხოს ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელიც 27 იანვარს "შარდენ ბარში" იმყოფებოდა; დაიწყოს მკვლელობის დამკვეთთა გამოვლენა-დასჯის პროცესი; კანონის ფარგლებში მოხდეს მაღალჩინოსანთა დაკითხვის ტრანსპარენტობა; საზოგადოებას აჩვენონ მკვლელობაში ეჭვმიტანილთა დროებითი საცხოვრებელი - საკანონი, და, რაც მთავარია, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის კატეგორიულად მოითხოვს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომას.

ბაზრძალვა A6 ბავრძა

რის ბაკთებას აპირებს ბი-პი საქართველოში

10 წლის შემდეგ

თინა ბაკაძე

“თქვენს ქვეყანაში სასეგმობო შესაძლებელია მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციის განხორციელება”, - ასეთ შეფასებას აკეთებს საქართველოში 10-წლიანი მუშაობის შემდეგ ნავთობმომწოდებელი კომპანია “ბი-პი“-ს გენერალური მენეჯერი როდ დიგინჯი. 1996 წელს “ბი-პი“-ის მხრიდან სწორედ მან მოაწერა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი, რომელიც “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” ნავთობსადენის მშენებლობის საფუძველი გახდა. ამერიკის საფონდო ბირჟებზე კოტირებულ ნავთობმომწოდებელ კომპანიებს შორის “ბი-პი” საშუალო სიდიდის კომპანიაა. ამის მიუხედავად, მან შეძლო მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ნავთობსადენის აშენება. “მაჰდენისი” და “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” პროექტები მიმდინარე წელს დასრულდება. ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობა გლობალური მნიშვნელობის ენერჯორექტებისა და მის განხორციელებაში საქართველოს მონაწილეობა ქვეყნისთვის დიდი რეკლამაა. გარდა ამისა, საქართველოში

ველო ყოველწლიურად ნავთობსადენიდან ტრანზიტის მოსაკრებელის სახით 75 მილიონ დოლარს მიიღებს. გაზსადენიდან კი 300 მილიონ კუბურ მეტრ გაზს - ტრანზიტის საფასურად. საქართველოსთვის გაზის მიწოდება ეტაპობრივად დაიწყო და პიკს მიაღწევს 2009 წელს, როცა საერთო ჯამში, ქვეყანა მიიღებს 800 მილიონ კუბურ მეტრს, რაც მოთხოვნის 60 პროცენტს დააკმაყოფილებს. ტრანზიტის საფასურად მიწოდებული გაზის გარდა, ბრიტანული კომპანია საქართველოს 500 მილიონ კუბურ მეტრ გაზს, რუსულ გაზთან შედარებით, დაბალი ფასში მიწოდებს.

სამხრეთ კავკასიის ენერჯო-საფრთხობისთვის მნიშვნელოვანია მაჰდენისის საბადოს სრული ათვისება, რომლის მოსამზადებელი სამუშაოები 2012 წელს დასრულდება. ამ ეტაპზე ბრიტანული კომპანია “ბი-პი“-სა და მილი პარტნიორებისათვის 2006 წლის მთავარი პრიორიტეტი “მაჰდენისი” გაზსადენის ამშენებებაა, რომლის მშენებლობაც, ფაქტობრივად, დასრულდა. “ამჟამად ვმუშაობთ ათკილომეტრიანი გაზსადენის მშენებლობაზე, რომელიც “მაჰდენისი” მილსადენი



ნინო ნატროვილი

საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემას დაუკავშირდება. სავარაუდოდ, სექტემბრისთვის სასაქართველოს ჩვენ გაზს მივანდებით”, - ამბობს დიგინჯი. “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” ნავთობსადენის ამოქმედების ვაჭრობისთვის საუკეთესო სატრანზიტო გზა იქნება, რომელიც ხმელთაშუა ზღვას კასპიის ზღვასთან დააკავშირებს. აღნიშნული პროექტი განხორციელდება 3,6 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

ცნობილია, რომ ბევრი წინააღმდეგობა ახლდა პროექტის განხორციელებას. მათ შორის იყო ამინდი და საქართველოს 250-კილომეტრიანი მონაკვეთის რთული რელიეფი. გარდა ამისა, ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალი ხელიწავლება ბორჯომის ხეობაში მილსადენის მშენებლობის საკითხით დაინტერესდა. თითქმის ერთნაირი შეხედულების შემდეგ, ახალი გადაწყვეტილების თანახმად, “ბი-პი“-ს დანაზარები გაიზარდა, რადგან ბორჯომის ხეობაში მილზე ორჯერ მეტ სიღრმეზე ჩაიღო. ბრიტანული კომპანიისთვის მეტად მნიშვნელოვანია “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” ნავთობსადენის გაშენება, რომელიც საქართველოში 1999 წლიდან ამოქმედდა. აღნიშნული ნავთობსადენიდან სატრანზიტო გადასახადის სახით საქართველოს ბიუჯეტში 300 მილიონი დოლარი შევიდა.

“საქართველოს ბანკი” “MCG“-ს მომსახურა ბანკად აირჩიეს

სალმონ ბაკაძე

ფონდმა “ათასწლეულის გამომწვევა საქართველოს” (“MCG”) და საქართველოს ბანკმა საბანკო უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. საბანკო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ქართული საფინანსო და ინვესტიციების შერჩევა აშშ-სა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული “ათასწლეულის გამომწვევის” კომპაქტის მოთხოვნა იყო. დამოუკიდებელი კომისიამ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტის, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ნინო ბაკაძის შემოსული წინადადება შეაფასა. 295,3 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების “ათასწლეულის გამომწვევის” კომპაქტისთვის საბანკო მომსახურების გასაწევად კომისიამ ათი პრეტენდენტთან საქართველოს ბანკი შეარჩია.

ველოს მთავრობამ აშშ-ს ათასწლეულის გამომწვევის კორპორაციასთან გაფორმებული ათასწლეულის გამომწვევის კომპაქტის შემუშავების და განხორციელების მიზნით დააფუძნა. პროგრამა შეიქმნა საზოგადოებასთან ინტენსიური საკონსულტაციო პროცესის საფუძველზე და მიზნად ისახავს სიღარიბის დაძლევის ეკონომიკური განვითარების გზით.

ათასწლეულის გამომწვევის კორპორაცია (“MCC-სი”) აშშ-ს სამთავრობო კორპორაციაა, რომელიც დახმარებას უწევს ქვეყნებს, სადაც სამართლიანად მართვინ, ახანდებენ საკუთარ ხალხში და ხელს უწყობენ ეკონომიკური თავისუფლებას. “MCC“-ს შუამთავრობა ეფუძნება პრინციპს, რომ დახმარება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ის ხელს უწყობს ზემოაღნიშნულს, უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებასა და უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას.

საქართველოს ბანკის დირექტორმა ლადო გურგენიძემ განაცხადა, რომ საქართველოს ბანკისათვის დიდი პრესტიჟია “MCG“-ს პროექტების განხორციელების მომსახურება. “მონარული ვართ, რომ “MCG“-მ თავი-



ნინო ბაკაძე

სი პროექტების განხორციელების მომსახურებისთვის საქართველოს ბანკი აირჩია და იმედს თვალთ ვუყურებთ თანამშრომლობას “MCG“-სა და მის ქვეკონ-

ტრაქტორებთან. ეს არის ჩვენი ბანკის მერ მოპოვებული კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი კორპორატიული კლიენტი. წარმოდგენილი ათი ბანკიდან ჩვენი შე-

რჩევა ვრცელი დოკუმენტის წარდგენის შედეგად მოხდა, სადაც წარმოდგენილი იყო პირობები: ხარისხი, ფასი და ა.შ.

“საქართველოს ათასწლეულის გამომწვევის კომპაქტი სულ მალე შევა ძალაში. ამ პროგრამას უკავშირდება მრავალი იმედი და მოხარულება ვართ, რომ შევძლებთ პარტნიორული ურთიერთობის დამყარება ძლიერ დაწესებულებებთან, რომლებიც ამ სფეროში პროგრამის ეფექტურ ხორცშესხმად დაგვემხარებება. ეს პროგრამა საქართველოში სერიოზულ ეკონომიკური ბიძგს შექმნის და გაიზარდება ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში. ჩვენი წარმოდგენილი კრიტერიუმები საქართველოს ბანკსა და დაკმაყოფილა. შესაძლებლობების და სანდოობის მაღალი ხარისხის შედეგად, გადაწყვიტეთ, ჩვენი პროექტების განხორციელების მომსახურებისთვის საქართველოს ბანკი ავგერჩია. შერჩევის სამართლიანობა და ობიექტურობა აშშ-ს ათასწლეულის გამომწვევის კორპორაციამაც დაადასტურა. - განაცხადა ფონდის “ათასწლეულის გამომწვევა საქართველოს” აღმასრულებელმა დირექტორმა.



ქალაქური რომანო

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და საღონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და უღამაზესი ქალაქი მსოფლიოში

სამომავლო რიბი: Getz \$9.900-დან; Santa FE New \$28.100-დან; Tucson \$18.800-დან; Sonata \$18.900-დან; Terracan \$23.500-დან; H-1 \$21.500-დან

HYUNDAI
Drive your way!
არც შენა ვნათ

www.hyundai.ge

სასაქონლო კონტროლის ეფექტი

მაკონტროლებლები გასაკონტროლებელთა განათლებაზე იზრუნებენ

ნინო ნატროვილი

საქართველოს კონტროლის პალატის სასწავლო ცენტრში, გაეროს განვითარების პროექტის ფარგლებში, ტრენინგების ციკლი იწყება. ტრენინგების ძირითადი თემატიკა “სახელმწიფო კონტროლის ქმედითუარიანობის გაძლიერება” იქნება.

ხელმძღვანელობამ, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტთან ერთად, უზრუნველყოფს განხვეტილება მიიღოს. მათ, ვისაც ადრე ამონებდა და ვის საქმეებსაც სამართალიდან იკავებს უზავნიდა სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად, დღეს კონტროლის პალატის სასწავლო ცენტრში კვალიფიკაციის ასამაღლებლად იწვევს, რათა მომავალში ფინანსური შეცდომები აღარ დაუშვან, - განაცხადა კონტროლის პალატის რევიზია-მეგობრებმა ცხადყო, რომ საფინანსო-ეკონომიკური ხასიათის დარღვევები და კანონისწინააღმდეგე ქმედებების ძირითადი მიზეზი სახელმწიფო მოხელეთა განათლების დაბალი დონე იყო, - განაცხადა “24 საათთან” საუბარში კონტროლის პალატის თავმჯდომარის პრეზიდენტი მოადგილე იანა მესხია. მისი თქმით, სწორედ ამის გამო კონტროლის პალატაში სახელმწიფო დანესხვებების საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას მნიშვნელოვანი ადგილი დავთმობ.

“ამით კონტროლის პალატის

14 მარტიდან, კონტროლის პალატის ახლად შექმნილი სასწავლო ცენტრში, ერთი თვის განმავლობაში ტრენინგი ჩატარდება პირველ შერჩულ ჯგუფს - კულტურის, სპორტის და ძველი დაცვის სამინისტროს, შპს “საქართველოს რკინიგზის”, საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროსა და ყვარლის რაიონის გამგებობის 15 თანამშრომელს. ეს იქნება პირველი პილოტური სასწავლო კურსი, რომელიც მრავალი მაგიდით დასრულდება.

მოკლად

“თოლია” აზერბაიჯანის ბაზარზე გავა

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია “თოლია” 2008 წლისთვის “კამპარას” სამარკო ნიშნით წარმოებული ნაყინის აზერბაიჯანში გატანას გეგმავს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ნაყინის ექსპორტის საკითხზე უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან დაგეგმვა მიმდინარეობს. მათი თქმით, ჯერჯერობა ბაზარზე ნაყინი თბილისიდან მზა სახით გავა. “თოლიას” ნაყინის წარმოება წელიწადში 1200 ტონას შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

აზერბაიჯანული ნავთობი გაძვირდა

ერთ ბარელზე AZERI LT-ის სახეობის ნავთობის ფასი 13 მარტს გაიზარდა და 62,47 დოლარი შეადგინა, რაც 0,81 დოლარი მეტია წინა ვაჭრობაზე დღისკურსზე. როგორც კომპანიაში აცხადებენ, AZERI LT-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 34,9 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14 პროცენტია. URAL-ის ფასმა ერთ ბარელზე 55,45 დოლარი შეადგინა (0,94 დოლარი მეტი). URAL-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 32 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,3 პროცენტია. Brent-ის ფასმა ერთ ბარელზე 60,88 დოლარი შეადგინა (1,22 დოლარი მეტი). Brent-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36 პროცენტია. AZERI LT-ის კოტრინგის ასახავს აზერბაიჯანული ნავთობის ფასის მნიშვნელოვან ზღვას პორტებში, სადაც მას აზერბაიჯანის საერთაშორისო სასაზღვაო კომპანია სუფსის ტერმინალიდან გადაზიდვებს. URAL-ის კოტრინგის ნავთობის ნორმისთვის პორტში გადაზიდვები ნავთობის ფასს ასახავს. **პრაიმ-ნიუსი**

ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებელი ცნობილია

ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობას შპს “ნიში” და შპს “კავკასუს რო-უდ პროექტი” ერთობლივად და შპს “გაზპრომ 4” განასრულებენ. ტენდერში გამარჯვებულებად საავტომობილო გზების დეპარტამენტი შემწილმა საქციალურმა კომისიამ სწორედ ეს კომპანიები დასახელა.

თბილისი-სენაკი-ელსეულის საავტომობილო გზის ნაბატარი-ალაიანის 16 კმ-იან მონაკვეთზე ჩქაროსნული მაგისტრალის სამშენილო სამუშაოებს განხორციელებს კომპანია “უაზლუსი”. უაზლუსი დაიწყო მშენებლობის სამუშაოებს სექტემბრის ბოლომდე დასრულებენ. ამჟამად 4-ზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალი, რომელიც უაზლუსი გერმანული ტექნოლოგიით გაკეთდება. აღნიშნული ტექნოლოგია ცემენტბეტონის გზის საფარის დაგებას ითვალისწინებს. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნავს, ეს მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული ევროპასა და აშშ-ში და უფრო მეტი მდგრადობის ხასიათდება. იგი გამძლეა მკაცრი კლიმატური პირობების მიმართ და 40 წელი რეაბილიტაციას არ საჭიროებს. ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობაში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს ცნობილი გერმანული კომპანია “ვიდეკონი” დახმარება. ის ჩამოყვანას სპეციალისტებს და შესაბამის ტექნიკას, რომლებიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად იმუშავენ. შეგახსენებთ, რომ ტენდერის ბოლო ეტაპში 5 კომპანია მონაწილეობდა. კერძოდ, გამარჯვებული კომპანიების გარდა, შპს “პლეკსერუ-პი”, შპს “ონური” და შპს “დაგეტექნოლოგი”, თუმცა აღნიშნულმა კომპანიებმა სატენდერო პირობები ვერ დააკმაყოფილეს. **ჯი-ეი-ენი**

“ენგურშისის” სადერევაციო გვირაბის მდგომარეობის შესწავლას მოითხოვენ

დეპუტატი ნაზი არონია “ენგურშისის” სადერევაციო გვირაბში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით სპეციალური სახელმწიფო კომისიის შექმნას მოითხოვს. ამის შესახებ განაცხადა ნაზი არონიამ პარლამენტის სხდომაზე გააკეთა. მისი თქმით, ენგურშისის საავტომობილო მდგომარეობაშია.

“სადერევაციო გვირაბიდან მუდმივად მოედინება წყალი, რის გამოც ნალექების რაიონში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი დამყარებული ტერიტორიაზე ცხოვრობს. თუ ასე გაგრძელდება, ჩამონგრევა ის მთა, სადაც ეს გვირაბი და ენგურშისის საერთოდ აღარ გვექნება. წყალში ჩაყვრება ის მილიონები, რომელიც ენგურშისის სარეაბილიტაციოდ იგეგმება.” - განაცხადა არონიამ. ნალექების რაიონის სოფლებში შექმნილი მდგომარეობის სადემონსტრაციოდ არონიამ სხდომათა დარბაზში მონიტორზე გადაღებული მასალებიც აჩვენა. არონია მოითხოვს, სახელმწიფო კომისია ენერჯეტიკის, ფინანსთა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლებისგან შეიქმნას და სადერევაციო გვირაბში არსებული ვითარება რეალურად შეაფასოს. **ჯი-ეი-ენი**

აზერბაიჯანში არ სჭერათ

აზერბაიჯანში არ სჭერათ, რომ საქართველო ელექტროენერჯის ვალს გააღვიდოს. ამის შესახებ “აზერენერჯის” პრეზიდენტმა მარლენ ასკეროვმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს 1998 წლიდან 32 მილიონი ელექტროენერჯის ვალი მართებს. ასკეროვის განცხადებით, სირთულეს ის წარმოადგენს, რომ საქართველოს ენერჯის სექტორში სხვადასხვა დროს ამერიკელების და რუსების ხელში იყო, დღეს კი მას ასეთი მფარველი აღარ ჰყავს და ვალს ვეღარავის მოსთხოვენ. “როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას მივმართეთ, გვაპასუხებენ, რომ საქმეს შეისწავლიან,” - განაცხადა ასკეროვმა. **ჯი-ეი-ენი**

მომდროება თავისუფალია

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე მსაბმელის და მხვერდისმამულიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცულების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზეადამცავი გვირაბების გავლით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. გზის დანარჩენი მონაკვეთი ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. **მედიანიუსი**

თბილისი ელექტროენერჯის შეფერხებლად იღებს

თბილისში ელექტრომომარაგება სრულად აღდგა და ქალაქის ყველა უბანი ელექტროენერჯის მუდმივად აღდგა. 14 მარტს სომხეთის ელექტროსისტემასთან შემაერთებელ 220-კილოვოლტიან გადამცემ ხაზს “აღადგინეს” მომხდარი ავარიის გამო 12.53 საათიდან თბილისის რამდენიმე უბანს ელექტროენერჯის მიწოდება შეწყდა. ელექტრომომარაგების გარეშე აღარა დედაქალაქის ცენტრალური ნაწილი, თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზი და რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი. მომხდარი ავარიდან 40 წუთში მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით ელექტროენერჯის მიწოდება აღდგინეს მიუხედავად, თბილისის გამორთული უბნებისთვის ელექტრომომარაგების აღდგენის მიზნით ვერ მოხერხდა, რისი მიზეზი კომპანია “სახელმწიფო ელექტროსისტემის” 220-კილოვოლტიანი ქვესადგურ “ლისის” საავარიო დაცვის ამოერთვების დაზიანება გახდა. შედეგად “თელავის” 110-კილოვოლტიანი ქვესადგურებმა - “ზიანა” და “ბაგევი” ელექტროენერჯი ვერ მიიღეს. ელექტროენერჯის გარეშე იყო დარჩენილი მიწამინდის, ვაკისა და სოლოლაკის ნაწილი. “აღადგინეს” გადაცემის ხაზის ავარიის დროს გამოირთული სხვა დანარჩენი უბნების ჩართვა ოპერატულად მოხერხდა. გათიშული უბნებისთვის ელექტრომომარაგების სრულად აღდგენა სისტემური გადართვების შემდეგ გახდა შესაძლებელი. **მედიანიუსი**

ბირგვლიანის საქმე - ფართომასშტაბიანი აქციების საბაზი

პირველი გვერდი

არასამთავრობო ორგანიზაცი-ათა კოალიციის წევრები რამდენიმე საპროტესტო აქციის ჩატარებას გეგმავენ. 16 მარტს აქცია "სიცოცხლის სიგნალი" გამართება. კოალიციის წევრები საზოგადოებას მიმართავენ თხოვნით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის გამოძიებას, რომელიც არაობიექტურად მიმდინარეობს, ხუთი-შაბათს, საღამოს ექვს საათზე პროტესტი ავტოსიგნალით გამოუცხადონ. გარდა ამისა, პარასკევს, 17 მარტს, დღის 12 საათზე საპროტესტო აქცია გამართება შს სამინისტროსთან და ოთხ საათზე - სახელმწიფო კანცელარიასთან, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრები საქართველოს პრეზიდენტს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მოსთხოვენ. ამასთან, არ გამოირიცხავენ გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნის დაყენებასაც.



ოპოზიციური კოალიციის წევრები პრეზიდენტს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მოსთხოვენ.

არასამთავრობო ორგანიზაციებს ოპოზიციური პარტიებიც მუხრანბერიძის გუშინვე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საპროტესტო აქციების გამართვის გეგმა განიხილეს. გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით გუშინვე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საპროტესტო აქციების გამართვის გეგმა განიხილეს. გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით გუშინვე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საპროტესტო აქციების გამართვის გეგმა განიხილეს.

მელთაძე შს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელების დავით ახალაიას და ვასილ სანოის ნინაძემდე უნდა მისცენ ჩვენებები, ამჟამად დავით ახალაიას ძმის ბაჩო ახალაიას დაქვემდებარებაში იმყოფებიან და მის უწყებაში იხიდან სასჯელს. ამიტომ, ადვოკატებს შესაძლებელია, რომ ამ დავიდან დაიწყონ მოახდინონ; - განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მათ მოითხოვს არ დააკავშიროს, აქციების მორიგი ტალღა აგორდება. გამომძიებისადმი პრეტენზიებს

გამოთქვამენ სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებიც, რომლებიც, მოწინებისა და მკვლელობის ბრალდებულების ჩვენებებში სხვაობის გამო, დამატებითი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებას მოითხოვენ. როგორც ერთ-ერთმა ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განაცხადა, მკვლელობაში ბრალდებულ ოლეგ მელნიკოვისა და ვასილ სანოის თანამდებობიდან გადადგომა არასაკმარისად მიჩნევენ და განსხვავდება, ორთისაც გამომძიებლის მხარე ვალდებულია, ხელახალი ჩვენებები და დაიბრუნონ რეგები ჩაატაროს. გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებმა მიხეილ რამიშვილმა და ბაქრაშვილმა მხარეზე დააყენეს

რამდენიმე შუამდგომლობა წარუდგინეს. დაცვის მხარე შუამდგომლობების დაკმაყოფილებას სამი დღის ვადაში ელოდება. ადვოკატები მათ მიერ დაყენებული შუამდგომლობების საფუძველზე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებებზე დასწრებას მოითხოვენ. გარდა ამისა, ადვოკატები დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვისა და ვასილ სანოის თანამდებობიდან გადადგომა არასაკმარისად მიჩნევენ და განსხვავდება, ორთისაც გამომძიებლის მხარე ვალდებულია, ხელახალი ჩვენებები და დაიბრუნონ რეგები ჩაატაროს. გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებმა მიხეილ რამიშვილმა და ბაქრაშვილმა მხარეზე დააყენეს

მიმვილია. თუმცა, ვიდრე გირგვლიანის ადვოკატები მათ შუამდგომლობებზე პასუხს ელოდ, გირგვლიანის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ქუთაისელმა მენარშემ დავით სტეფანიშვილმა განაცხადა, რომ ის ავტომანქანა, რომელიც "გაერთიანებული ქართული ბანკის" ყოფილი თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ღამეს ბრალდებულმა გამოიყენეს, მას ეკუთვნის. როგორც სტეფანიშვილი ირწმუნება, აღნიშნული ავტომანქანა 2005 წლის 19 ოქტომბერს შსს რეგისტრულმა სამმართველომ ძარაზე ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომრის შესამოწმებლად ჩამოართვა და დღემდე არ დაუბრუნებია.

გუშინ კი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში დაფიქსირებულ მთელ მანქანაზე, "ტოიოტა ლენდკრიზერის" მარკის შავი ფერის ჯიპზე, პრეტენზია ბათუმელმა ბიზნესმენმა განაცხადა. ბათუმელი ბიზნესმენის მიხეილ გაგაშვილის ადვოკატის ემზარ პაქსაძის თქმით, ბიზნესმენს ავტომანქანა უმომრეობის სამსახურმა 2005 წლის 5 ნოემბერს გაურკვეველი მიზეზით ჩამოართვა. მანქანა დალუქული და გაჩერებული უნდა ყოფილიყო ბათუმში, გრიბოედების ქუჩაზე მდებარე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ეზოში. მიხეილ გაგაშვილმა ავტომანქანა 2003 წელს ბაზრობაზე უყენებდა პირისგან შეიძინა. საქმეში არსებული მასალებიდან დადგინდა, რომ მანქანა გაგაშვილმა კანონის დაცვით შეიძინა. ადვოკატი და მისი დაცვის ქვეშე მყოფი მიხეილ გაგაშვილი ავტომანქანის დაბრუნებას კატეგორულად მოითხოვს.

24 საათი

ჰააგის ტრიბუნალმა მილოშვიჩის საქმე დახურა

იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის ოჯახი სლობოდან მილოშვიჩის მოსკოვში დროებით დაკრძალვას ითხოვს. რუსეთის ხელმძღვანელებს შესაბამისი თხოვნით მილოშვიჩის ვაჟმა მარკო მიმართა. "ბელგრადის ხელისუფლება დაკრძალვის ნებას არ გვაძლევს. ისინი ოფიციალურად და არაოფიციალურად გვეშუქებიან. ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი დასთანხმდა მოსკოვში დაკრძალვას, ხვალ ხელისუფლებას ოფიციალურ ნებართვას ვთხოვთ", - განუცხადა მარკო მილოშვიჩი სააგენტო "როიტერს". ჰააგაში გაფრენის წინ. ის ჰააგაში მამამისის ცხედრის გადმოსვენების მიზნით გაფრინდა.

სლობოდან მილოშვიჩი, რომელსაც სამხედრო დანაშაულებებში ედებოდა ბრალი, შაბათს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის ციხის საკანში მკვდარი იპოვეს. ოფიციალური დასკვნით, ის გულ-ის შეტევით გარდაიცვალა. სლობოდან მილოშვიჩის გარდაცვალების მიზეზი მთავრად იხსარება ქიმიკატების გამოყენება. მისი თქმით, პოლიტიკოსი, რომელსაც ჰააგის ტრიბუნალი ეჭვმიტანილი უდებდა, არ შეიძლება პატივით დაიკრძალოს. ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის მთავარმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ კი განაცხადა, რომ გარდაცვალების შემდეგ მათ ამ ვერსიის დამადასტურებელი ის ნერილიც მოჰყავთ, რომელიც გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე მილოშვიჩმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს გაუგზავნა. მილოშვიჩი წერს, რომ ციხეში იმ ნამლ-

ებს აძლევენ, რომელიც მას არ სჭირდება; კერძოდ, როგორც ექსპრეზიდენტის ამტკიცებდა, მის სიხშირეში კეთილმოწყობის მიზნით საინჟინერო პრეპარატები აღმოჩნდა.

სერბეთის პრეზიდენტმა ბორის ტადიჩმა მილოშვიჩის გარდაცვალებისთვის პასუხისმგებლობა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს დააკისრა.

"ექვევარეულმა, მილოშვიჩის სერიოზული მკურნალობა ესაჭიროებოდა. ეს უფლები ტრიბუნალის ნებისმიერ პატიმარს უნდა მიეცეს. სამწუხაროდ, ტრიბუნალისგან ვიღებთ ცნობებს, რომ ის მილოშვიჩის სიკვდილისთვის პასუხს არ აგებს. მე კი ვფიქრობ, რომ ყველაფერი პირობითია. არ ვაპირებ, შევინაყოფო მილოშვიჩის ქვრივი, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების მიერ იქნება. ის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილი", - განაცხადა ტადიჩმა სააგენტო "ასოშიეიტედ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

სერბეთის პრეზიდენტმა მილოშვიჩის სამომხდომი სახელმწიფო დაკრძალვის შესაძლებლობა გამოირცხა. მისი თქმით, პოლიტიკოსი, რომელსაც ჰააგის ტრიბუნალი ეჭვმიტანილი უდებდა, არ შეიძლება პატივით დაიკრძალოს.

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის მთავარმა პროკურორმა კარლა დელ პონტემ კი განაცხადა, რომ გარდაცვალების შემდეგ მათ ამ ვერსიის დამადასტურებელი ის ნერილიც მოჰყავთ, რომელიც გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე მილოშვიჩმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს გაუგზავნა. მილოშვიჩი წერს, რომ ციხეში იმ ნამლ-

24 საათი

აკვლასია განაჩენა, რომლითაც ყველა უკმაყოფილოა

გოგი კუპრეიშვილის საქმე გრძელდება

დღეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის საქმის განხილვა იწყება. მ წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთი განაჩენი გამოუტანა ცოტა ხნის წინ ბათუმის საქალაქო სასამართლომ უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რომელსაც, თავის დროზე, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა.

გარდა რევანდიანი პატიმრობისა, სასამართლომ კუპრეიშვილს სახელმწიფოს სასარგებლოდ, სოციალურად, სხვა პირებთან ერთად, თანხის გადახდაც დააკისრა. საუბარია ევროსასამართლოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის, ბათუმის ყოფილი მერის, თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობისთვის დაკისრებული თანხის გადახდაზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ეს განაჩენი მსგავსად უფლების ადვოკატმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაასაჩივრა. დაცვის მხარე მის გაუქმებას

ითხოვს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო დარჩა პროკურატურაც - სახელმწიფო ბრალდებამ ჩათვალა, რომ კუპრეიშვილისთვის გამოტანილი ვერდიქტი ლოიალურია და სააპელაციო სასამართლოს ბრალდების მხარეშიც მიმართა. პირველი ინსტანციის სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს სამი ბრალდებით მოუხსნა. დაცვის მხარე აცხადებს, რომ სასამართლოს სხვა ბრალდებებშიც უნდა გაემაართლებინა გოგი კუპრეიშვილი,

რადგან სასამართლო გამომძიებისას, არგუმენტირებულად ვადათლდა დარჩენილი სხვა ყველა ბრალდებაც. "გაუგებარია, პროკურატურის მხრიდან ამ განაჩენის გასაჩივრება. როგორც ჩანს, პროკურატურას შიში აქვს, რომ სააპელაციო სასამართლოში, შესაძლოა, საბოლოოდ დადგინდეს კუპრეიშვილისთვის ნარდგენილი ბრალდებების აბსურდულობა. სახელმწიფო ბრალდებებს კუპრეიშვილისთვის 12-წლიანი პატიმრობის მოთხოვნა აქვს გამოხატებული და ყველაფერს შეეცდება, რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიანიჭოს დარჩენილ ბრალდებებშიც. ამჟერად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოგვიწევს, დავუშვავთ პროკურატურას, რომ დარჩენილი ბრალდებები უსაფუძვლო და არამყა-

რია. პროკურატურას იმასაც შეევახსენებთ, რომ ჩვენი დაცვის ქვეშე მყოფის საქმეს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო განიხილავს. ევროსასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს გოგი კუპრეიშვილის წინასწარი პატიმრობისა და მისთვის ქონების ჩამორთმევის კანონიერება-არაკანონიერებაზე", - განაცხადა ჩვენი თანამშრომელი ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

საქმე ისაა, რომ აჭარის რეგიონალური პერიოდში, 2004 წლის 5 მაისს გოგი კუპრეიშვილი საქართველოს ახალი ხელისუფლების წევრებთან შესახვედრად ჩოლოქის ხიდზე გადავიდა, საიდანაც ის შეიარაღებულ პირებთან ერთად ფოთში წაიყვანეს. როგორც ადვოკატი განმარტავს, კუპრეიშვილი მამიდელ უშიშროებ-

ის მინისტრს უნდა შეხვედროდა.

"6 მაისს ჩამოიყვანეს თბილისში, თანხლებ პირებთან ერთად მიიყვანეს უშიშროების სამინისტროში და გამოუცხადეს, რომ დაკავებული იყო. დაკავების ოქმი, ორი დღის შემდეგ, 8 მაისს გააფორმეს. ამდენად, 72-საათიანი ვადა უკვე კარგა ხნის გასული იყო. სასამართლოსთვის მხოლოდ ეს ფაქტიც კი საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ კუპრეიშვილი უკანონო პატიმრად ელიარებინა", - აცხადებს ადვოკატი.

სხვათა შორის, ეს ფაქტი სასამართლო პროცესზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებითაც დადასტურდა. დაკითხვენ ურნალის ტიპი და ის მოწმეები, რომლებიც აჭარის რეგიონალური ეპიკენტრში იყვნენ. მოწმეების ჩვენებების მიხედვით, გაირკვა, რომ 2004

წლის 5 მაისს გოგი კუპრეიშვილი ჩოლოქის ხიდზე მართლაც გადავიდა და შეხვდა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს, თბილისის აშაშინდელ მერს გივი უგულავას და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, საიდანაც, ის შეიარაღებულ პირებთან ერთად წაიყვანეს. დაკითხული მოწმეებისთვის ისიც ცნობილი ყოფილა, რომ კუპრეიშვილი თბილისში ჩამოიყვანამდე, ფოთში ჰყავდათ.

"ძალიან საინტერესო ჩვენება მისცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ვახტანგ კომანიძემ. მან განაცხადა, რომ ხელიუსუფლების ერთ-ერთი მალაჩიტი და ის მოწმეები, რომლებიც აჭარის რეგიონალური ეპიკენტრში იყვნენ. მოწმეების ჩვენებების მიხედვით, გაირკვა, რომ 2004

შევიდნენ, ყურნალისტებთან ერთად, იქ ავტომობილი ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს. სასამართლო გამომძიებით დადასტურდა, რომ იქ იარაღი არავის უნახავს", - აცხადებს ადვოკატი.

გოგი კუპრეიშვილის ინტერვიუსების დამცველი ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონოს და უპრეტენდენტოს უწოდებს. "ევროსასამართლომ ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის, თენგიზ ასანიძისთვის თანხის გადახდა სახელმწიფოს დააკისრა. სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოდექსის ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა", - აცხადებს ადვოკატი.

24 საათი

განრიცხა

გაკოტრების მმართველის დანიშვნის შესახებ

ქ.თბილისი 13 მარტი, 2006 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ა. დევიშვილმა ერთპიროვნულად განვიხილე სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველის დანიშვნის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი

ვიხელმძღვანელებ რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით

დავადგინე

1. სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველი გიორგი გვირიანი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან;
2. სს "თბილგაზის" გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ილია ბასიშვილი (დაბ. 04.09.1968 ქ. თბილისში, მცხ. თბილისი, დიღმის მეურნეობა, კორპ. 2, პროფსია - ენერგეტიკოსი);
3. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავის უფლებები და მოვალეობები. დაევალოს ილია ბასიშვილს გამოაქვეყნოს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად.
4. სს "თბილგაზის" კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2006 წლის 21 მარტს, 11 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.
5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.

მოსამართლე ი. ადეშვილი

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება

ქალაქის ნაგებობები უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07

ფეხბურთი

ზინედინ ზიდანი: "გადანჯვრებილებას ზაფხულში მივიღებ"

ფრანგული ჟურნალი "Onze Mondial"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" გამოთამაშებულმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, როდის დაამთავრებს საფეხბურთო კარიერას. "ამ გადაწყვეტილებას ზაფხულში მივიღებ, როცა ფეხბურთისგან დავისვენებ", - ამბობს ფრანგი.

- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ცდილობთ, ყოველი თამაში დატკბეთ. ვითომ პირველად თამაშობთ...



- შვილებმა "რეალში" ბევრი დიდი პიანისტი, მაგრამ არ არიან ისინი, ვინც როიალს დაათრევენ?

- მე ასეთი განსაზღვრებები არ მიყვარს. ბალანსი ყოველთვის უნდა არსებობდეს. უბრალოდ, ზოგიერთ ფეხბურთელს თავისი ფუნქციის შესაბამისად მინდორზე უფრო მეტი შრომა უხდება, ვიდრე სხვას. მაგალითად, რონალდო გიჯივიტი არ უნდა დარბოდეს. მას მეტტეუბის დაგვირგვინება ევალება.

- ერთი თვის წინათ ესპანეთის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში 1:6 დამარცხდით, მაგრამ განმეორებითი შეხვედრა 4:0 მოიგეთ და საბოლოო გადგინებამდე მხოლოდ ერთი გოლი დაგაკლდათ...

ჩემი პოზიცია კი არა, გუნდის თამაშიც მთლიანად შეცვალა. მან იცის რისი მიღწევა სურს, ამიტომ გუნდი ფუნქციონირებს. თუმცა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ლუქემბურგოს რაღაც არ გამოსდოდა. ისიც ძალიან ნაყოფიერად შემუშავდა. საკუთარი იდეებიც ჰქონდა, მაგრამ ჩვენ მათი განხორციელება ვერ მოვახერხეთ. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერზე მწვინი იყავი პასუსს.

- გვეჩვენა თუ არა იმის ბედნიერება, რომ შენს თამაშს კიდევ ერთი წელი უყუროთ?

- არ ვიცი, თუმცა შეიძლება, რადგან მე კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. სეზონის ბოლოს გადაწყვეტ. ახლა მთავარია კარგად დავასრულო "რეალში" დარჩენილი სამი სათამაშო თვე და ნარმატივით გამოვიდე მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში.

- ესე იგი, ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილია?

- ჯერ არ ვრისკავ. კონტრაქტით გათვალისწინებული კიდევ ერთი წელი მაქვს და ჯერჯერობით ნასვლას არ ვაპირებ. გადაწყვეტილებას ამ ზაფხულს მივიღებ, როცა არდადგებულ ნაგავს ყველაფერი ჩემზე, ჩემს სულერი მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. თუ მიგხვდება, რომ აღარ შემიძლია, არაფერს მოტყუებას არ შევეცდები. ეს არასოდეს გამიკეთებია.

ოქტაბონი

სისხლის არ შიშობინდეთ!

ცოტაც და, საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიო ოსტატებს რკინის კალიის კარს შეუღებენ და მერე იქ ამბები დატრიალდება... იქნება ჩხუბი ფეხებით, მუშტებით, მუხლებით. იქნება ძვლების მტვრევა. ერთმანეთის გაგუდვასაც არ მოერიდება მანამ, სანამ ერთ-ერთი მოჩხუბარი 12 ათასი მაყურებლის წინაშე მტოტოქს არ დაწებდება. ერთი სიტყვით, შაბათს მანჩესტერში დიდი გაწვევა მომწვევა იქნება. ორთაბრძოლებზე და იმაზე, რომ ყველაფერმა უმსხვერპლოდ ჩაიაროს, პასუხისმგებელია მსოფლიოს ყოველი აბსოლუტური ჩემპიონი, მძიმე წონის ოქსდაც დიდი მოკრივე მაიკ ტაისონი!



შაბათს მანჩესტერში ჩხუბში გადაეშვა

გალიაში ჩხუბს, რომელსაც ერთი ათლეტიზმის გამოცდას უწოდებენ, ხოლო მეორე - ბარბაროსობას, "რკინის მაიკი" ბრიტანელ მაყურებლებში დიდ პოპულარობას უზინასწარმეტყველებს.

"გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ბრიტანელი ძალზე აგრესიული არიან. მგონია, რომ ისინი ამგვარ ორთაბრძოლებს ხელგაშლილი შეხედებენ. კრივის განსხვავებით, სადაც ხელთათმანები გიცავთ, აქ შიშველი ხელებით - ძვლებით ჩხუბობენ. ასე რომ, იქნება სისხლი და მოტყუებლობები, - წინდანის აფრთხილებს მაყურებელს მაიკ ტაისონი, - ასეთი სახანაობას სუსტი ნერვების პატრონი ვერ უყურებს".

გალიაში ჩხუბი, რომელიც ცნობილია როგორც "შერეული საბრძოლო ხელოვნება" და 1993 წლიდან იღებს სათავეს, ბრიტანეთში ახლა იკიდებს ფეხს. ყოველ შემთხვევაში, ისეთი პოპულარობით არ სარგებლობს ალბიონზე, როგორც, ვთქვათ, ამერიკაში, სადაც ასეთი ორთაბრძოლებისთვის მილიონიანი საბრძოლველი და რომელსაც ტელევიზიის წყალობით დიდი აუდიტორია ჰყავს. თუმცა, რიგ შტატებში კანონი კრძალავს სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრების ჩატარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბში ყველაფერი მოსულა, შაბათს, ევროპული მასშტაბის პირველ საერთაშორისო ასპარეზობაზე გასულ ამერიკელ, რუს, იაპონელ და ბრაზილიელ მოჩხუბრებს მაინც მოუწევთ დაემორჩილონ სამ ძირითად წესს: აკრძალულია კენა, თვალის გამოთხრა და თავით დარტყმა. ჩე-ზილიელ მოჩხუბრებს მაინც მოუწევთ დაემორჩილონ სამ ძირითად წესს: აკრძალულია კენა, თვალის გამოთხრა და თავით დარტყმა. ჩე-ზილიელ მოჩხუბრებს მაინც მოუწევთ დაემორჩილონ სამ ძირითად წესს: აკრძალულია კენა, თვალის გამოთხრა და თავით დარტყმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბში ყველაფერი მოსულა, შაბათს, ევროპული მასშტაბის პირველ საერთაშორისო ასპარეზობაზე გასულ ამერიკელ, რუს, იაპონელ და ბრაზილიელ მოჩხუბრებს მაინც მოუწევთ დაემორჩილონ სამ ძირითად წესს: აკრძალულია კენა, თვალის გამოთხრა და თავით დარტყმა. ჩე-ზილიელ მოჩხუბრებს მაინც მოუწევთ დაემორჩილონ სამ ძირითად წესს: აკრძალულია კენა, თვალის გამოთხრა და თავით დარტყმა. ჩე-ზილიელ მოჩხუბრებს მაინც მოუწევთ დაემორჩილონ სამ ძირითად წესს: აკრძალულია კენა, თვალის გამოთხრა და თავით დარტყმა.

ბალაქის და ნედვიდის...

ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ აპირებს, შეიძინოს ჩეხეთის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" ლიდერი პაველ ნედვიდი. მოურინიო აღფრთოვანებულია "იუვენს" ნახევარმცველის თამაშით და აპირებს, ზაფხულში მოუნახოს "ზაიერის" ნახევარმცველ მისაელ ბალაქთან ერთად თავის გუნდში გადაიბიროს.

ასაკის მიუხედავად, "ჩელსის" მწვრთნელი 33 წლის ნედვედს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს. "მე ვიცი, რა შეუძლიათ ჩეხ ფეხბურთელებს. ისინი უმაღლესი ხარისხის ფეხბურთის აჩვენებენ, - განაცხადა ჟოზე მოურინიომ, - მე ნედვედის თამაში დიდხანს ვაკვირდებოდი. ექვტარეშა, რომ ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მას უზარმაზარი ნიჭი აქვს". თუმცა, თვითონ პაველს არ სურს ლონდონის "ჩელსიში" თამაში და, როგორც ჩანს, აპირებს საფეხბურთო კარიერა ტურინის "იუვენტუსის" შემადგენლობაში დასრულოს.

